სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შედარებითი ანალიზი

ნინო კაკაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კაკაბაძე 2023 წელი

1. აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების – საქართველო, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის შედარებით ანალიზს. ბოლო წლების განმავლობაში, თანამედროვე ტექნოლოგიურ რეალობაში და ელექტრონული მმართველობის დანერგვის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეებზე ორიენტირებული სახელმწიფო სერვისების ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უამრავი რეფორმა განხორციელდა და გამონაკლის არც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები წარმოადგენენ.

საქართველოში სახელმწიფო სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია მრავლად მოიპოვება, შემუშავებულია არაერთი სტრატეგია და აღნიშნული ევროინტეგრაციის გზაზეც ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს. თუმცა უნდა ითქვას, რომ დიდი საინფორმაციო კამპანიებისა და ინტერნეტში არსებული სიახლეების მიუხედავად ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ცუდად არის ინფორმირებილი, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთთან დაკავშირებით ქართულ სივრცეში შედარებით მწირი ინფორმაცია არის წარმოდგენილი. მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში სახელმწიფო სერვისების პრაქტიკის შესწავლა და ერთი რეგიონის მიუხედავად ამ კუთხით განვითარების სხვადასხვა დონის გამოკვეთა. აღნიშნული მიზნით ნაშრომი პასუხობს შემდეგ საკვლევ შეკითხვებს – რა განსხვავება არის ზემოაღნიშნულ ქვეყნებში სახელმწიფო სერვისების განვითარების კუთხით, რომელ სახელმწიფოს აქვს უფრო მეტი წარმატება და შესაძლებელია თუ არა ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, ასევე, ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკის დანერგვა.

საკვლევი საკითხები შესწავლილ იქნა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში სახელმწიფო სერვისებზე პასუხისმგებელ ორგანოების ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. სამაგისტრო კვლევით გამოიკვეთა სახელმწიფო სერვისების, მათი ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების მიმართულებით საქართველოს უპირატესობა აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით, თუმცა ამ ორი უკანასკნელი ქვეყნიდან აზერბაიჯანს მოწინავე პოზიცია უკავია. წინამდებარე ნაშრომი საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, ასევე, ვისაც სურს წარმოდგენა შეიქმნას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრაქტიკაზე სახელმწიფო სერვისების მიმართულებით.

Abstract

The master's thesis deals with the comparative analysis of access to public services in the South Caucasus countries - Georgia, Azerbaijan and Armenia. In recent years, in the modern technological reality and in the conditions of introduction of e-government, establishment of citizen-oriented public services becomes more important. Numerous reforms have been implemented in this direction in many countries across the globe, and the South Caucasus countries are no exception.

In Georgia, information about public services and their accessibility is available in abundance. A number of strategies have been developed, and this stand as one of the leading directions in the European integration path. However, it must be noted that the information related to the services provided by the state are not fully disseminated to the Georgian society, and relatively little information is presented in foreign languages regarding the public services of Azerbaijan and Armenia. The aim of this paper is to study the practice of public services in Georgia, Azerbaijan and Armenia and to highlight different levels of development in countries from one region. For this purpose, the paper answers the following research questions - what is the difference in the development of public services in the above-mentioned countries, which state is more successful and whether it is possible to share each other's experience, as well as to implement practices specific to these countries.

The research questions were studied based on official information provided by the bodies responsible for public services in Georgia, Azerbaijan and Armenia. The master's research revealed the advantage of Georgia in comparison to Azerbaijan and Armenia in the direction of public services, their availability and diversity, although Azerbaijan occupies an advanced position between the two countries. This study will be interesting for any person who takes interest in the discussed topic, as well as for those willing to gain a knowledge on the practices of the South Caucasus countries regarding the public services.